სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების შესახებ ხელშეკრულება

თარიღი: ___ / ___ / 2026

ერთის მხრივ, შპს „გობი ჰოსფითალითი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405866228), წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სოლომონ ბაღაშვილის (პ.ნ 01024086893) სახით (შემდგომში — „ნიშნის მფლობელი“),

და მეორეს მხრივ, _____ (საიდენტიფიკაციო ნომერი: _____), წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის _____ სახით (შემდგომში — „სერტიფიცირებული პირი“),

ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საფუძველი და საგანი

1.1. სერტიფიცირებულმა პირმა ____ წლის _____ წარადგინა განაცხადი GOBY THE LIST – THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY-ის (შემდგომში — „სასერტიფიკაციო ნიშანი“) მინიჭების მიზნით, რომელიც დარეგისტრირდა შესაბამისი წესით.

1.2. სერტიფიცირებული პირი ადასტურებს, რომ განაცხადის წარდგენისას სრულად გადაიხადა დადგენილი განაცხადის საფასური — 500 (ხუთასი) ლარი.

1.3. განაცხადის საფუძველზე, სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით (შემდგომში — „დებულება“) გათვალისწინებული წესით განხორციელდა შეფასების პროცედურა, რომლის შედეგადაც:

- შეფასებული ობიექტის დასახელება: _____
- ობიექტის მისამართი: _____
- შეფასების კატეგორია: _____
- მინიჭებული ქულა: _____ / 100
- სასერტიფიკაციო დონე/ნიშანი: _____
- გადაწყვეტილების თარიღი: _____

1.4. სერტიფიცირებული პირი ადასტურებს, რომ გაეცნო შეფასების შედეგებს, სრულად ეთანხმება მინიჭებულ ქულას, შესაბამის სასერტიფიკაციო დონესა და მიღებულ გადაწყვეტილებას და მათთან დაკავშირებით არ გააჩნია რაიმე პრეტენზია.

1.5. შეფასების წარმატებით დასრულებისა და სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრება სერტიფიცირებული პირისთვის სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭებისა და განხორციელების პირობები.

მუხლი 2. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება

CERTIFICATION MARK USE AGREEMENT

Date: ___ / ___ / 2026

On the one hand, GOBY Hospitality LLC (Identification Number: 405866228), represented by its authorized representative Solomon Bagashvili (Personal Identification Number: 01024086893) (hereinafter referred to as the “Mark Owner”),

And on the other hand, _____ (Identification Number: _____), represented by its authorized representative _____ (hereinafter referred to as the “Certified Entity”),

Hereinafter jointly referred to as the “Parties”, enter into this Agreement as follows:

Article 1. Basis and Subject Matter of the Agreement

1.1. On _____ ____, the Certified Entity submitted an application for the award of GOBY THE LIST – THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY (hereinafter the “Certification Mark”), which was duly registered in accordance with the applicable procedure.

1.2. The Certified Entity confirms that, upon submission of the application, it paid in full the prescribed application fee of GEL 500 (five hundred).

1.3. Based on the application, an evaluation procedure was conducted in accordance with the Certification Mark Regulations (hereinafter the “Regulations”), resulting in the following:

- Name of the evaluated establishment: _____
- Address of the establishment: _____
- Evaluation category: _____
- Score awarded: _____ / 100
- Certification level/mark: _____
- Date of the decision: _____

1.4. The Certified Entity confirms that it has reviewed the evaluation results, fully agrees with the awarded score, the relevant certification level and the decision, and has no claims or objections in relation thereto.

1.5. Following successful completion of the evaluation and the decision to award the Certification Mark, this Agreement sets out the conditions for granting and exercising the Certified Entity’s right to use the Certification Mark.

Article 2. Right to Use the Certification Mark

2.1. ნიშნის მფლობელი სერტიფიცირებულ პირს ანიჭებს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების არაექსკლუზიურ, არაგადაცემად და ვადიან უფლებას, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტთან დაკავშირებით, დებულებითა და ოფიციალური ვიზუალური სტანდარტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.1. The Mark Owner grants the Certified Entity a non-exclusive, non-transferable and time-limited right to use the Certification Mark solely in relation to the establishment specified in this Agreement, in accordance with the Regulations and official visual standards.

2.2. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება წარმოიშობა მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და მე-3 მუხლით გათვალისწინებული საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. აღნიშნული წინაპირობების შესრულებამდე სერტიფიცირებულ პირს ეკრძალება სასერტიფიკაციო ნიშნის ნებისმიერი ფორმით გამოყენება.

2.2. The right to use the Certification Mark arises only after this Agreement has been executed and the fee specified in Article 3 has been paid in full. Until both conditions are satisfied, the Certified Entity is prohibited from using the Certification Mark in any form.

2.3. სერტიფიცირებული პირი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშანი გამოიყენოს მხოლოდ მინიჭებული დონის, მოქმედების ვადისა და ოფიციალური ვიზუალური სტანდარტების შესაბამისად. დაუშვებელია ნიშნის გამოსახულების შეცვლა, დამახინჯება, მესამე პირისთვის გამოყენების უფლების გადაცემა ან მისი გამოყენება სხვა ობიექტის ან კატეგორიის მიმართ.

2.3. The Certified Entity shall use the Certification Mark only in accordance with the awarded level, validity period and official visual standards. Altering or distorting the Mark, transferring the right of use to a third party, or using it for another establishment or category is prohibited.

2.4. სერტიფიცირებული პირი ვალდებულია დაიცვას დებულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები.

2.4. The Certified Entity shall comply with all requirements under the Regulations and all rules governing use of the Certification Mark.

მუხლი 3. მომსახურების საფასური და გადახდის პირობები

Article 3. Service Fee and Payment Terms

3.1. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების მოქმედების სრული, ერთწლიანი პერიოდისთვის შეადგენს 2,200 (ორი ათას ორას) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

3.1. The service fee associated with use of the Certification Mark for the entire one-year term of this Agreement is GEL 2,200 (two thousand two hundred), including of VAT.

3.2. სერტიფიცირებული პირი ვალდებულია აღნიშნული თანხა სრულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, ხელშეკრულებაში ნიშნის მფლობელის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2. The Certified Entity shall pay the amount in full no later than 3 (three) business days after execution of this Agreement, to the Mark Owner's bank account specified herein.

3.3. გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში სერტიფიცირებულ პირს დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თანხის სრულად გადახდამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

3.3. In the event of late payment, the Certified Entity shall incur a contractual penalty of 0.1% of the outstanding amount for each day of delay, until payment in full or termination of this Agreement.

3.4. საფასურის დადგენილ ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია, დამატებითი ვადის მიცემის გარეშე, ცალმხრივად და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით.

3.4. If the fee is not paid in full by the prescribed deadline, the Mark Owner may unilaterally terminate this Agreement with immediate effect, without granting an additional period, by giving written notice.

3.5. ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სერტიფიცირებულ პირს არ წარმოეშობა სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების ან მისი გამოყენების უფლების აღდგენის მოთხოვნა, მიუხედავად შეფასების წარმატებით გავლისა და შესაბამისი ქულის მიღებისა. ამასთან, მას არ აქვს უკვე გადახდილი განაცხადის საფასურის ან სხვა გადახდილი თანხების დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

3.5. In the circumstances specified in Clause 3.4, the Certified Entity shall have no entitlement to use the Certification Mark or to demand reinstatement of the right to use it, notwithstanding successful evaluation and receipt of the relevant score. Furthermore, it shall have no right to request a refund of the application fee already paid or any other amounts already paid.

მუხლი 4. მონიტორინგი და პასუხისმგებლობა

4.1. ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განახორციელოს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი შემოწმებები.

4.2. მონიტორინგის განხორციელებისას წარმოშობილი დამატებითი, გონივრული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები ანაზღაურდება სერტიფიცირებული პირის მიერ, ნიშნის მფლობელის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

4.3. დებულების, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების წესების ან ვიზუალური სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს დებულებით გათვალისწინებული შესაბამისი სანქციები, მათ შორის გაფრთხილება, ხარვეზის გამოსწორებისთვის ვადის მიცემა, გამოყენების უფლების შეჩერება, გაუქმება/აკრძალვა ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

4.4. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოსახულების, ვიზუალური სტანდარტების ან გამოყენების წესების დარღვევის თითოეული დამოუკიდებელი შემთხვევისთვის სერტიფიცირებულ პირს ეკისრება ფულადი ჯარიმა 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

4.5. ამ მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის განმეორების შემთხვევაში ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება და გააუქმოს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება. აღნიშნული არ ათავისუფლებს სერტიფიცირებულ პირს უკვე წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისგან.

4.6. ხელშეკრულების შეწყვეტის, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების გაუქმების ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში სერტიფიცირებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნიშნის გამოყენება და მოხსნას იგი ყველა მატერიალური და ციფრული მატარებლიდან, მათ შორის ვებგვერდიდან, სოციალური ქსელებიდან, სარეკლამო მასალებიდან და ობიექტის სივრციდან.

Article 4. Monitoring and Liability

4.1. The Mark Owner may monitor use of the Certification Mark and compliance with the applicable standards, including by conducting inspections, in accordance with the Regulations.

4.2. Additional reasonable and documented expenses incurred in carrying out monitoring shall be reimbursed by the Certified Entity upon the Mark Owner's relevant request.

4.3. In the event of a breach of the Regulations, the rules governing use of the Certification Mark or the visual standards, the Mark Owner may impose the applicable sanctions under the Regulations, including a warning, granting time to remedy a deficiency, suspension, revocation/prohibition of the right of use, or a claim for damages.

4.4. For each separate instance of violation of the Certification Mark's appearance, visual standards or rules of use, the Certified Entity shall incur a monetary penalty of GEL 5,000 (five thousand).

4.5. If a violation specified in Clause 4.4 is repeated, the Mark Owner may immediately terminate this Agreement and revoke the right to use the Certification Mark. This shall not release the Certified Entity from financial obligations already incurred.

4.6. Upon termination of this Agreement, revocation of the right to use the Certification Mark, or expiry of its validity period, the Certified Entity shall immediately cease using the Mark and remove it from all physical and digital media, including websites, social media, advertising materials and the establishment's premises.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება და ინფორმაციის გამოქვეყნება

5.1. სერტიფიცირებული პირი თანხმობას აცხადებს, რომ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამუშაოს მის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები ხელშეკრულების შესრულების, სერტიფიცირების, მონიტორინგისა და შესაბამისი აღრიცხვის მიზნებისთვის.

5.2. სერტიფიცირებული პირი თანხმობას აცხადებს, რომ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა გამოაქვეყნოს და გამოიყენოს მისი და შესაბამისი ობიექტის დასახელება, ლოგო, მისამართი, მინიჭებული სასერტიფიკაციო ნიშანი, შეფასების შედეგები და სერტიფიცირების სტატუსი ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო ან

Article 5. Personal Data Processing and Publication of Information

5.1. The Certified Entity consents to the Mark Owner processing the personal data provided by it in accordance with Georgian law for the purposes of performance of this Agreement, certification, monitoring and related record-keeping.

5.2. The Certified Entity consents to the Mark Owner publishing and using the name, logo and address of the Certified Entity and the relevant establishment, the awarded Certification Mark, evaluation results and certification status on the official website, social media and other informational or promotional materials. The Certified Entity consents to the Mark Owner submitting the Certified Entity's

სარეკლამო მასალებში. სერტიფიცირებული პირი თანხმობას აცხადებს, რომ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა წარადგინოს სერტიფიცირებული პირის მონაცემები საქპატენტში.

information to the National Intellectual Property Center of Georgia (Sakpatenti).

5.3. სერტიფიცირებული პირი ადასტურებს, რომ უფლებამოსილია გასცეს ამ მუხლით გათვალისწინებული თანხმობები და ნებართვები.

5.3. The Certified Entity confirms that it is authorized to grant the consents and permissions provided for in this Article.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და განახლება

Article 6. Term and Renewal

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება მოქმედებს ამავე ვადის ფარგლებში, მე-2 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემდეგ.

6.1. This Agreement enters into force on the date of signature by the Parties and remains effective for 1 (one) year. The right to use the Certification Mark shall apply within that same period, once the conditions in Article 2 have been satisfied.

6.2. ხელშეკრულება მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე წყდება ავტომატურად, დამატებითი შეტყობინების გარეშე. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა არ იწვევს მის ავტომატურ გაგრძელებას ან სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების შენარჩუნებას.

6.2. This Agreement terminates automatically upon expiry of its term, without further notice. Expiry shall not result in automatic renewal or continuation of the right to use the Certification Mark.

6.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე სერტიფიცირებული პირი უფლებამოსილია მიმართოს ნიშნის მფლობელს ხელახალი შეფასების ან სერტიფიცირების განახლების მოთხოვნით. შესაბამისი პროცედურის წარმატებით გავლის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ახალი ხელშეკრულება იმ დროისთვის მოქმედი დებულებისა და სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

6.3. Before expiry of this Agreement, the Certified Entity may request re-evaluation or renewal of certification from the Mark Owner. Upon successful completion of the relevant procedure, the Parties may enter into a new agreement in accordance with the Regulations and standard contractual terms then in force.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია ამ ხელშეკრულებით, დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.4. Early termination of this Agreement is permitted in the circumstances provided for in this Agreement, the Regulations and Georgian law.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

Article 7. Final Provisions

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებასთან ერთად და წარმოადგენს მხარეთა შორის სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობის მარეგულირებელ შეთანხმებას.

7.1. This Agreement applies together with the Certification Mark Regulations and governs the relationship between the Parties concerning use of the Certification Mark.

7.2. დებულება, მისი დანართები და ნიშნის მფლობელის მიერ დამტკიცებული ოფიციალური ვიზუალური სტანდარტები სავალდებულოა სერტიფიცირებული პირისთვის. ხელშეკრულებასა და დებულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დებულებას.

7.2. The Regulations, their annexes and the official visual standards approved by the Mark Owner are binding on the Certified Entity. In the event of a conflict between this Agreement and the Regulations, the Regulations shall prevail.

7.3. სერტიფიცირებული პირი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება დებულებას და იღებს ვალდებულებას, დაიცვას მისი მოთხოვნები ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

7.3. The Certified Entity confirms that it is familiar with and agrees to the Regulations and undertakes to comply with their requirements throughout the term of this Agreement.

7.4. მხარეთა შორის ოფიციალური შეტყობინებები შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულებაში ან განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება მიიჩნევა წერილობით შეტყობინებად.

7.4. Official notices between the Parties may be sent to the email addresses specified in this Agreement or in the application. Notices sent by email shall be deemed written notices.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, განიხილება საქართველოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ.

7.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისთვის თითო ეგზემპლარი. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ელექტრონულად, მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ელექტრონული ასლების (მათ შორის, PDF ფორმატში) ელექტრონული ფოსტით გაცვლის გზით. ამგვარად გაცვლილ ხელმოწერილ ასლებს ენიჭება ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა და მხარეები აღიარებენ მათ ნამდვილობასა და სავალდებულო ხასიათს.

7.5. This Agreement is governed by the laws of Georgia. Any dispute between the Parties that cannot be resolved by agreement shall be heard by the competent courts of Georgia.

7.6. This Agreement in two counterparts of equal legal force, one for each Party. This Agreement is executed in Georgian and English. In the event of any discrepancy between the two language versions, the Georgian version shall prevail. This Agreement may be executed electronically by exchanging signed electronic copies of the document (including in PDF format) via email. The Parties agree that such exchanged signed copies shall have the same legal force and effect as the originals and acknowledge their validity and binding nature.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი
შპს „გობი ჰოსფითალითი“
ს/ნ: 405866228
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქ. №20/31
ელფოსტა: info@gobythelist.com
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ანგარიშის ნომერი: GE72BG0000000612860258
წარმომადგენელი: სოლომონ ბაღაშვილი

ხელმოწერა: _____

სერტიფიცირებული პირი
დასახელება: _____
ს/ნ: _____
იურიდიული მისამართი: _____
ელფოსტა: _____
საბანკო რეკვიზიტები: _____
წარმომადგენელი: _____

ხელმოწერა: _____

Article 8. Parties' Details and Signatures

Mark Owner
Goby Hospitality LLC
Identification No.: 405866228
Address: 20/31 Sofrom Mgaloblishvili St., Tbilisi, Georgia
Email: info@gobythelist.com
Bank details:
JSC Bank of Georgia
Account number: GE72BG0000000612860258
Representative: Solomon Bagashvili

Signature: _____

Certified Entity
Name: _____
Identification No.: _____
Legal address: _____
Email: _____
Bank details: _____
Representative: _____

Signature: _____